საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოსებ შარლემანი

იოსებ შარლემანი (1880-1957), გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. იყო XVII საუკუნეში რუსეთში დამკვიდრებული ფრანგი მოქანდაკის შთამომავალი. დაიბადა პეტერბურგში. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1917 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. შეიყვარა და საფუძვლიანად შეისწავლა ქართული კულტურა. იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1941 წლიდან – პროფესორი). აქვე ხელმძღვანელობდა გრაფიკის ფაკულტეტს (1922–1933), 1933–1937 წლებში – გრაფიკის კათედრას. ი. შარლემანი საქართველოში წიგნის გრაფიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. შესრულებული აქვს ილუსტრაციები წიგნებისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ერთტომეული“ (1922), ვ. ბარნოვის „გიორგი სააკაძე“ (1939), ა. ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ (1950) და სხვ. თბილისის საოპერო თეატრში შარლემანმა გააფორმა სპექტაკლები: პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“ და სხვ. ე. ლანსერესთან ერთად შექმნა საქართველოს სსრ გერბი (1921).

ი. შარლემანი გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.